საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბუერა

ბუერა (Petasites), მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა. აქვს გრძელი მხოხავი ფესურები და ფესვთანური ფოთლები (ღეროსეული ფოთლები რედუცირებულია). ორსახლიანი მცენარეა. ბუტკოიანი ყვავილები მოთავსებულია დიდ კალათებში, მტვრიანიანი – უფრო პატარა კალათებში. განლაგებულია ღეროს წვერზე ფარისებრ (ბუტკოიანი) ან საგველასებრ (მტვრიანიანი) ყვავილედებად. ცნობილია 5–6 სახეობა, რ-ებიც გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში.

საქართველოში ბ-ის 4 სახეობა გვხვდება: ფომინის ბ. (P. fomini) და ქართული ბ. (P. georgicus) საქართველოს ენდემებია; პირველი იზრდება რაჭა-ლეჩხუმის, შიდა ქართლისა და მთიულეთის ალპ. სარტყლის ღორღიან ნიადაგებზე, ტენიან კლდეთა ნაპრალებში და მთის ჩანჩქერთა კალაპოტის გასწვრივ, მეორე – მარტო ქართლში, მთის შუა და ზედა სარტყლის ტენიან ხევებსა და ტყეებში; თეთრი ბ. (P. alba) მთელ საქართველოშია გავრცელებული, ჰიბრიდული ბ. (P. hybrida) – მხოლოდ აფხაზეთში.

ლ. ხინთიბიძე